

უმაღლესი სასწავლებელში სტუდენტთა დასაქმების მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავება

თეიმურაზ სუხიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტუდენტთა პროფესიონალური დონის და მატერიალური უზრუნველყოფის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში შესაბამისი პროფესიის მიხედვით მათ დასაქმებას. სისტემა განკუთვნილია იმისათვის, რომ დავეხმაროთ სტუდენტს მოეწიოს სამსახურში უმაღლეს სასწავლებელში მისი სწავლის პროცესში. სტატიაში განიხილება სტუდენტთა დასაქმების ავტომატიზებული მართვის სისტემის დამუშავების საკითხები ობიექტ-ორიენტირებული ანალიზისა და დაპროექტების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ობიექტ-ორიენტირებული ანალიზი. დაპროექტება. უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა დასაქმება. ექსპერტული შეფასება. ფსიქოლოგიური ტესტი. პროფესიონალური ტესტი.

1. შესავალი

შეაქვს რა განცხადება სისტემაში, სტუდენტი ხდება მისი კლიენტი და იწყება მისი მომსახურება უმაღლეს სასწავლებელში მისი სწავლის განმავლობაში. განცხადება წარმოადგენს ანეკტას. სისტემა ახდენს პროფესიონალურ ტესტირებას, რომელიც ტარდება რეგულარულად (სემესტრში ერთხელ). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტის სწავლებას, მოსწრების შედეგების მიხედვით დგება ექსპერტული შეფასებები. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დგება რეზიუმე, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის სრულ დახასიათებას. ეს რეზიუმე ეგზავნება ყველა ორგანიზაციას, რომლებსაც გააჩნია ვაკანსია.

სისტემის ძირითადი დანიშნულებაა სტუდენტების შესახებ საანგარიშო მონაცემების შეტანის და შენახვის ავტომატიზაცია, დახასიათებებისა და რეზიუმების მომზადების ავტომატიზაცია, ფორმაში ვაკანსიების პოვნა. სისტემა საშუალებას იძლევა შევცვალოთ, დავამატოთ, განვახორციელოთ ძებნა და ინფორმაციის ნახვა სტუდენტების შესახებ, უზრუნველყოს მიმართვის შეზღუდვა სისტემისადმი, შეინახოს სტუდენტთა სიები, რომლებმაც დაამთავრეს სწავლა არქივის სახით, დაუკავშიროს ინსტიტუტი ფირმებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ახლი თანამშრომლების შექენით.

2. ძირითადი ნაწილი

სტუდენტთა დასაქმების მართვისათვის უნდა შეიქმნას კომპიუტერული ქსელი განაწილებული საბუშაო ადგილებით, კლიენტ-სერვერ ორგანიზაციით. ამისათვის შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლის ინტერნეტის ქსელის გამოყენება.

ვიზუალური მოდელირების პრინციპით მართვის ავტომატიზებული სისტემის კონცეპტუალური მოდელის ასაგებათ დაგვიკვირდება პრეცედენტების მოდელი – სისტემისადმი მოთხოვნების დასადგენად; კლასების დიაგრამა – სისტემის ლექსიკონისა და ინფორმაციული ბაზის კონცეპტუალური სქემის წარმოსადგენად; ურთიერთქმედების დიაგრამა – პრეცედენტთა რეალიზების მექანიზმების აღწერისათვის მათში მონაწილე ობიექტებს შორის ურთიერთქმედებით; კომპონენტების დიაგრამა – მარეალიზებული კომპონენტების დადგენისა და აღწერისათვის; განლაგების დიაგრამა – სისტემის ტოპოლოგიის დაგენისათვის.

მოთხოვნებს სისტემისადმი გამოვსახავთ პრეცედენტების დიაგრამით, რომლითაც აისახა ფუნქციონალური პროცესები, პროცესში მონაწილე ძირითადი მხარეები (აქტიორები) მათი

ფუნქციების მიხედვით. მოყვანილი დახასიათებიდან გამომდინარე სისტემას დაეკისრება შემდეგი მოთხოვნები:

- სტუდენტთა მოსწრების კონტროლი;
- პროფესიონალური და ფსიქოლოგიური ტესტირება;
- დაკვეთების დამუშავება მომხმარებელთა უფლებების კატეგორიის განსაზღვრისათვის;
- ექსპერტული შეფასებები.

სტუდენტთა მოსწრების კონტროლი. იგი პასუხს აგებს ცალკეული სტუდენტების, ჯგუფის ან მთლიანად ფაკულტეტის მოსწრების სტატისტიკურ ანგარიშგებაზე, ასევე მათი შენახვისა და შეტანის სისწორეზე.

პრეცედენტისათვის შემავალი მონაცემები: შეფასებები, გამოცდების ჩაბარების თარიღები, სტუდენტების სახელები, ჯგუფის ნომრები, ფაკულტეტი. გამოსასვლელზე პრეცედენტი გამოსცემს დამუშავებულ მონაცემებს: სტუდენტის საშუალო ბალი, ჯგუფის ან ფაკულტეტის მიხედვით, პროცენტული შეფარდება შეფასებებისა სტუდენტისა ჯგუფში ან ფაკულტეტზე.

პრეცედენტი „სტუდენტების მოსწრების კონტროლი“ მოიცავს შემდეგ ფუნქციებს (ჩართული პრეცედენტები):

- ინფორმაციის შეტანა, გამოტანა და რედაქტირება;
- დამუშავებული ინფორმაციის შენახვა;
- სტუდენტის შეფასებების პროცენტული თანაფარდობის გამოთვლა ჯგუფში, ფაკულტეტზე და მათი გამოყვანა ცხრილების, გრაფიკების ან დიაგრამის სახით;
- საშუალო ქულის გაანგაერიშება სტუდენტის, ჯგუფის ან ფაკულტეტისათვის;
- მონაცემების ფორმირება სტუდენტის, ჯგუფის ან ფაკულტეტისათვის;
- ძლიერი და სუსტი სტუდენტების გამოვლენა ჯგუფში ან ფაკულტეტზე;
- სტიპენდიანტი სტუდენტების გამოვლენა ჯგუფში ან ფაკულტეტზე;
- მონაცემთა შეტანის სისწორის კონტროლი.

პროფესიონალური და ფსიქოლოგიური ტესტირება. მისი დანიშნულებაა მონახდინოს სტუდენტების ტესტირება დამუშავებული ტესტების სფუძველზე.

ტესტირება გამოიძახება მონიტორის მიერ, იღებს მისგან საწყის მონაცემებს და მათგან დამოკიდებულებით ახდენს რეგისტრაციას, ტესტების განსაზღვრას (პროფესიული, ფსიქოლოგიური, სპეციალური) გამოთვლას და შედეგების შენახვას.

დაკვეთების დამუშავება. მომხმარებელთა კატეგორიის განსაზღვრა. იგი განკუთვნილია კატეგორიის, უფლებამოსილების განსაზღვრისათვის და დასაქმების სამსახურის მომხმარებელთა დაკვეთების დასამუშავებლად. კერძოთ იგი ახდენს:

- ახალი ფირმების რეგისტრაციას;
- ახალი სტუდენტების რეგისტრაციას;

- დარეგისტრირებული მომხმარებლის მიმართვის უფლების დადგენას;
- დაკვეთების დამუშავებას;
- სარეგისტრაციო მონაცემების მიღებას ფირმებიდან;
- სარეგისტრაციო მონაცემების მიღებას სტუდენტებისგან;
- რეზიუმეს შედგენას;
- მონაცემების ჩაწერას სტუდენტების მონაცემთა ბაზაში;
- მონაცემების ჩაწერას ფირმების მონაცემთა ბაზაში;
- მონაცემების ჩაწერას დარეგისტრირებულ მომხმარებელთა მონაცემთა ბაზაში.

ექსპერტული შეფასებები. იგი განკუთვნილია სტუდენტის ან მთლიანად ჯგუფის ექსპერტული შეფასების მიღებისათვის. რითაც პედაგოგს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის შესახებ. სტუდენტს კი შეუძლია მისი მეშვეობით აიღოს ორიენტაცია სწავლაში. გარდა ამისა მისი მეშვეობით ფირმის წარმომადგენელს საშუალება ეძლევა მიიღოს წარმოდგენა სტუდენტზე ახალი კადრების შერჩევისას.

სისტემის როლებია სტუდენტი, პედაგოგი (პროფესორი), დასაქმების სამსახურის წარმომადგენელი (ადმინისტრატორი), ფირმის წარმომადგენელი. თითოეულს გააჩნია თავისი როლი და აქედან გამომდინარე სისტემასთან მუშაობის თავისი წესი. კლიენტი შედის სისტემაში საიდენტიფიკაციო ნომრის მეშვეობით. ნომრის საფუძველზე ენიჭება მიმართვის დონე და გამოიყვანება სამუშაო ფანჯარა (მენიუ).

დასაქმების სამსახურის წარმომადგენლის (ადმინისტრატორი) ძირითადი როლი განისაზღვრება მონაცემთა ბაზის შევსებაში და ცვლილებების განხორციელებაში მომზადებულს სასწავლო ნაწილის, დეკანატის ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ასევე საანგარიშგებო დავალების დამუშავებაში. იგი აგზავნის შეკვეთას სტუდენტის (ჯგუფის) ტესტირების შედეგების მისაღებათ: მონაცემთა ბაზიდან შემოდის სტუდენტის (ჯგუფის) მოსწრება, ტესტირების შედეგები. აკეთებს შეკვეთას კრიტერიუმებზე. კრიტერიუმების საცავიდან შემოდის კრიტერიუმები ექსპერტული შეფასებების დასადგენად. შეაქვს ექსპერტული შეფასება. აკეთებს შეკვეთას ექსპერტული შეფასებების გადახედვაზე. მონაცემთა ბაზიდან შემოდის ექსპერტული შეფასებები.

სტუდენტის როლი განისაზღვრება პირადი ანკეტური მონაცემების შეტანასა და ინფორმაციის მიღებაში ექსპერტული შეფასებების შესახებ. იგი აგზავნის შეკვეთას სტუდენტის (ჯგუფის) ტესტირების შედეგების მისაღებად: მონაცემთა ბაზიდან შემოდის სტუდენტის (ჯგუფის) მოსწრება, ტესტირების შედეგები. აკეთებს შეკვეთას ექსპერტული შეფასებების გადახედვაზე. მონაცემთა ბაზიდან შემოდის ექსპერტული შეფასებები.

ფირმის წარმომადგენლის როლი დაკავშირებულია სასურველი კადრის შერჩევასთან, ამიტომ მას შეუძლია სტუდენტის შესახებ მონაცემების ძებნა და სტუდენტების შესახებ რეზიუმეს

ნახვა. იგი აკეთებს შეკვეთას ექსპერტული შეფასებების გადახედვაზე. მონაცემთა ბაზიდან შემოდის ექსპერტული შეფასებები.

მონაცემთა ბაზა შეიცავს: ექსპერტულ შეფასებებს, სტუდენტის მოსწრებას, ჯგუფის მოსწრებას, პროფესიული ტესტის შედეგებს და ფსიქოლოგიური ტესტის შედეგებს.

3. დასკვნა

სისტემის დამუშავებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ოპერატიულად შეაფასონ თავიანთი შესაძლებლობები და ის ვაკანსიები, რომლებიც არსებობს მათი დასაქმებისათვის.

ლიტერატურა:

1. ახობაძე მ., ბოსიკაშვილი ზ., გოგიჩაიშვილი გ., სურგულაძე გ., სუხიაშვილი თ., ღვინფაძე გ. სასამართლო საქმეთა წარმოების ქსელური მართვის ავტომატიზებული სისტემა. სტუ, თბ., 2006

2. სუხიაშვილი თ. ავტომატიზებული მართვის თეორიული საფუძვლები. სტუ, თბ., 2005.

DEVELOPMENT OF MANAGEMENT INFORMATION SYSTEM OF STUDENTS EMPLOYMENT IN HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS

Sukhiashvili Teimuraz
Georgian Technical University

Summary

Students' occupation at the higher educational institution is of key importance in increasing of their professional level. The purpose of the system is to help students to find jobs while have being learning at universities. The article there are discussed issues of the development of an automatic students' occupation management system on the basis of object-oriented analysis and design.

РАЗРАБОТКА АСУ ЗАНЯТОСТИ СТУДЕНТОВ В ВЫСШИХ УЧЕБНЫХ ЗАВЕДЕНИЯХ

Сухиаშვილი Т.
Грузинский Технический Университет

Резюме

Для повышения профессионального уровня и материального обеспечения студентов большое значение имеет их занятость в рамках высших учебных заведений по соответствующим профессиям. Система предназначена для того, чтобы помочь студенту устроиться на работу в процессе его учебы в высшем учебном заведении. В статье рассматриваются вопросы разработки системы автоматизированного управления занятостью студентов на основе объектно-ориентированного анализа и проектирования.